პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 127 (5157)

1974 წ. 29 ივნისი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

# ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. ნიქსონის ვიზიტი



## შეხვედრა ვნუკოვოს აეროდრომზე

27 ივნისს მოსკოვში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი რიჩარდ მ. ნიქსონი მეუღლითურთ.

რ. ნიქსონთან ერთად მოსკოვში ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, პრეზიდენტის თანაშემწე ეროვნული უშიშროების საკითხებში ჰ. კისინჯერი, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწე ა. ჰეიგი, პრეზიდენტის თანაშემწე და პრეს-მდივანი რ. ზიგლერი, ეროვნული უშიშროების საკითხებში პრეზიდენტის თანაშემწის მოადგილე ბ. სკაუკროფტი, სახელმწიფო დეპარტამენტის მრჩეველი ჰ. სონენფელდტი, სახელმწიფო მდივნის მოადგილე ევროპის საქმეებში ა. ჰარტმანი.

ვნუკოვოს აეროდრომი, სადაც დაჯდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის თვითმფრინავი, მორთულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით.

თვითმფრინავის კიბესთან რ. ნიქსონს გულთბილად მიესალმნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი.

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტსა და მის თანმხლებ პირებს აეროდრომზე დახვდნენ, აგრეთვე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეები მ. ა. იასნოვი, გ. ს. ძოწენიძე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. კირილინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის მინისტრები ბ. პ. ბუგაევი, ტ. ბ. გუჟენკო, ვ. პ. ელიუტინი, ბ. ვ. პეტროვსკი, ე. ა. ფურცევა, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. თ. პრომისლოვი და სხვები.

ლ. ი. ბრეჟნევმა და რ. ნიქსონმა ჩამოუარეს საბჭოთა მეომრების მწყობრს. ისინი მივიდნენ აეროდრომზე შეკრებილ მოსკოველებთან, მიესალმნენ მათ.

აეროდრომიდან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ლ. ი. ბრეჟნევთან, ნ. ვ. პოდგორნისთან და ა. ნ. კოსიგინთან ერთად მოტოციკლისტთა ესკორტის თანხლებით გაემართა რეზიდენციისკენ კრემლში. გზაში მათ მიესალმებოდნენ ქალაქ მოსკოვის მცხოვრებნი.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: შეხვედრა ვნუკოვოს აეროდრომზე.

ა. პახომოვის ფოტო.




სსრ კავშირისა და აშშ-ს სპორტსმენებს დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. ისინი მუდმივი მეტოქეები არიან სარბენ ბილიკებზე და მძლეოსნურ სექტორებში, რინგზე, ძალოსანთა და მოცურავეთა შეჯიბრებებში. საბჭოთა და ამერიკელ სპორტსმენთა შეხვედრებს მუდამ დაძაბული ბრძოლა და მაღალი შედეგები მოსდევს. ტრადიციად იქცა სსრ კავშირისა და აშშ-ს კალათბურთელთა მატჩები. წლეულს ამერიკელი კალათბურთელები იყვნენ საბჭოთა კავშირში, სადაც შეხვედრები ჩაატარეს საბჭოთა ნაკრებთან და სხვა გუნდებთან.

ს უ რ ა თ ზ ე: აშშ-ს კალათბურთელთა ნაკრებისა და ლენინგრადის „სპარტაკის" შეხვედრა. ამერიკელთა კალათში ბურთს ათავსებს ა. ბელოვი.

ვ. გალაქტიონოვის ფოტო.

## ყოჩაღ, ლომებო!

მადრიდი, 27 ივნისი. სსრ კავშირის ნაკრების ღირსებას ევროპის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ჩემპიონატში ექვსი დებიუტანტი იცავდა. ამის მიუხედავად, ჩვენმა ათლეტებმა, ისევე როგორც „კლასიკოსთა" ტურნირში, მთავარი გუნდური პრიზი დაიმსახურეს.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: კრასნოიარსკელი ვ. ტოკჩინაკოვი, ბულგარელები ო. ნიკოლოვი, პ. ქელევი, დ. ქეკოვი, ი. ვასილევი, მახაჩყალელი რ. აშურალიევი, ლენინგრადელი ვ. ნოვოჟილოვი, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი, თბილისელი ლ. თედიაშვილი, გდრ-ის წარმომადგენელი ჰ. ბიუტნერი და მსოფლიოს ჩემპიონი, ორჯონიკიძელი ს. ანდიევი.

საბჭოთა ათლეტთაგან II ადგილებზე გავიდნენ: ბაქოელები ტ. ფაშაევი, მ. იბრაგიმოვი, ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონი, კრასნოიარსკელი ი. იარიგინი.

— იარიგინის მარცხი მთელი ჩვენი გუნდისთვის გაკვეთილია, — თქვა სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ი. შახმურადოვმა, — უკეთ შეეძლოთ გამოსვლა ფაშაევს, იბრაგიმოვს, განსაკუთრებით კი მახაჩყალელ გარუმოვსა და თბილისელ დობორჯგინიძეს. სამწუხაროდ, ეს ორი მოჭიდავე პრიზიორთა რიგებშიც ვერ მოხვდა. ვფიქრობ, ზოგიერთი ჩვენი მოჭიდავე ჯეროვნად არ აფასებს იმ ფაქტს, რომ უცხოელ მოჭიდავეთა ოსტატობის დონე სწრაფად იზრდება.

ევროპის ჩემპიონატი ძალთა სერიოზული შემოწმება იყო მსოფლიო თასის გათამაშების წინ, რომელიც წლეულს ივლისში, ლას-ვეგასში (აშშ) ჩატარდება. ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის, აშშ-ს, ბულგარეთისა და ირანის კოლექტივები.

გუნდურ ჩათვლაში II ადგილი დაიკავეს ბულგარეთის ათლეტებმა, III — რუმინეთის მოჭიდავეებმა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ გდრ-ისა და პოლონეთის კოლექტივები.

## კვლავ მაია და თამარი

ტირასპოლი, 27 ივნისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის ქალთა XXXIV საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალში გუშინ X ტური გაიმართა.

მ. ჩიბურდანიძემ (თბილისი) ს. იაკოვლევასთან (ალმა-ათა) კაროკანის დაცვაში პანოვის მწვავე სისტემა გაითამაშა და მიტელშპილში პაიკი მოიგო, მერე კი ეს უპირატესობა გამარჯვებამდე მიიყვანა.

თ. ხუგაშვილმა (თბილისი), ვ. როჟლაპას (რიგა) მეფეზე პირდაპირი იერიშით 29-ე სვლაზე გამარჯვების მომტანი ქულა მოიპოვა.

გაიმარჯვეს, აგრეთვე, კ. ზვორიკინამ (მინსკი) ი. ბერზინიასთან (რიგა), ბ. მოსიონჟიკმა (კიშინიოვი) — ლ. გოლდინასთან (ტაშკენტი) და ტ. ფომინამ — ხ. კრუსიაუკთან (ორივე — ტალინი). სხვა პარტიები გადაიდო.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ჩიბურდანიძემ მოუგო ნ. ალაბაბიანს (სტეპანაკერტი), ხუგაშვილმა — ზვორიკინას, ა. კაროსენემ (ვილნიუსი) — ა. მუსლიმოვას (ალმა-ათა), ბ. მოსიონჟიკმა — ნ. დრელს (ლენინგრადი) და გოლდინამ — კრუსიაუკს. ყაიმით დამთავრდა როჟლაპა — იაკოვლევას და ბერზინია — ფომინას შეხვედრა.

10 ტურის შემდეგ კვლავ ლიდერობენ მ. ჩიბურდანიძე და თ. ხუგაშვილი — 8-8 ქულა. შემდეგ მოდიან: ტ. ფომინა — 7,5, ტ. კონსტინა (მინსკი) — 6 (1), ნ. ჩერნოვა, ბ. მოსიონჟიკი—5,5-5,5.

მ. შიშოვი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.

## მეგობრობის თასი „სინათლეს" ხვდა

კარგა ხანია საძირკველი ჩაეყარა ამიერკავკასიის რესპუბლიკების „სპარტაკის" ორგანიზაციების ტრადიციულ ტურისტულ შეკრებას, რომელსაც „მეგობრობა" ჰქვია. ამგვარი შეკრებები ყოველწლიურად ეწყობა ხან ერთი, ხან მეორე, ხანაც მესამე მოძმე რესპუბლიკის ტერიტორიაზე. შეჯიბრებაში ნებისმიერი რაოდენობის გუნდები მონაწილეობენ.

მორიგ შეკრებას ამას წინათ აზერბაიჯანის „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭო მასპინძლობდა, ბაქოს მიდამოებში საასპარეზოდ 35 გუნდმა მოიყარა თავი. საქართველოს „სპარტაკი" 12 კოლექტივით იყო წარმოდგენილი.

ასპარეზობის პროგრამაში იყო ტურისტული მრავალჭიდი (წინაღობათა ზოლის გადალახვა, „დაშავებულის" გადაყვანა, ზურგჩანთაში საძილე ტომრის ჩადება, კლდეზე დაშვება და კარვის გაშლა).

ყველას აჯობეს თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს სპორტკლუბ „სინათლის" ტურისტებმა, რომლებმაც ყველა ოპერაცია სხვებზე ადრე დაამთავრეს. თბილისელებს გადაეცათ თასი. II ადგილზეა ბაქოს კავშირგაბმულობის მუშაკთა გუნდი, III — თბილისის გეოლოგიური სამმართველოს მე-4 საწარმოს კოლექტივი.

მ. ხანუმიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნადეჟდა კურჩენკოს პრიზზე

სოხუმში ხუთ დღეს გასტანა ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდების რესპუბლიკურმა შეჯიბრებამ. სარბიელზე გამოვიდნენ „განთიადისა“ და „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოების, „ბურევესტნიკის“, „სპარტაკის“, „დინამოს“, „შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოების, თბილისის განათლების განყოფილების, აფხაზეთის ნაკრები გუნდები. შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობდა სომხეთის ქალთა ახალგაზრდული გუნდი.

ქალთა კოლექტივების ტურნირი დაუმარცხებლად განვლო „კოლმეურნის“ გუნდმა, რომელსაც ნადეჟდა კურჩენკოს სახელობის პრიზი გადაეცა. II და III ადგილების ბედი ტურნირის ბოლო დღეს გადაწყდა განათლების განყოფილების გუნდისა და „განთიადის“ შეხვედრაში. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა „განთიადმა“.

უფრო ძლიერად თამაშობდნენ ვაჟები. I ადგილზე გავიდა „ბურევესტნიკის“ გუნდი. აფხაზეთის ფრენბურთელებმა, რომელთაც თავიდან წაგებული ჰქონდათ შეხვედრა „ბურევესტნიკთან“, ტურნირის ბოლოს შეძლეს ძალების მოკრება და II ადგილზე გავიდნენ. III ადგილზე დარჩა „კოლმეურნის“ კოლექტივი.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ფრენბურთელები იყვნენ ნადეჟდა კურჩენკოს საფლავზე და ყვავილებით შეამკეს მისი ძეგლი. იქვე საქართველოს სპორტკომიტეტის წარმომადგენელმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ე. სანთელაძემ გამარჯვებულებს პრიზები და ჯილდოები გადასცა.

ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული. მაღალ დონეზე იდგა მსაჯობა. მაგრამ გვინდა რამდენიმე შენიშვნა გამოვთქვათ იმ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა მისამართით, რომელთა გუნდებიც ტურნირში მონაწილეობდნენ. გუნდები სუსტად იყვნენ მომზადებული.

გაუგებარი მიზეზით შეჯიბრებაში მონაწილეობა არ მიუღია „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდს.

ვ. ხემირონოვი.
(ჩვენი კორ.).

# მეორე ფინალისტია ირინა ლევიტინა

კისლოვოდსკში დამთავრდა ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეორე ნახევარფინალური მატჩი ვ. კოზლოვსკაიასა (პიატიგორსკი) და ი. ლევიტინას (ლენინგრადი) შორის. გუშინწინ ლევიტინამ II დამატებითი პარტია მოიგო და მატჩშიც გაიმარჯვა ანგარიშით 6,5:5,5. ამით მან მოიპოვა პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში თამაშის უფლება და ნ. ალექსანდრიას (თბილისი) შეხვდება.

**ჩვენი კომენტარი**

ლევიტინა ფინალში გავიდა. არ დაგიმალავთ, ჩვენ ამას ველოდით, ვინაიდან იგი ჭეშმარიტად ნიჭიერი და ენერგიული მოჭადრაკეა. ამასთან, ლევიტინა ახალგაზრდაა (წლეულს ოცდაერთისა გახდება). თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 38 წლის კოზლოვსკაიასთან ბრძოლა ძალიან გაუჭირდა. თავიდან პიატიგორსკელი მოჭადრაკე ლიდერობდა. ლევიტინამ სამჯერ გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ დამატებით პარტიებში, სადაც ხასიათის სიმტკიცე წყვეტდა მატჩის ბედს, მან მეტი მხნეობა გამოიჩინა და გაიმარჯვა.

ახლა წინაა ალექსანდრია — ლევიტინას ფინალური მატჩი. უნდა გათამაშდეს 12 პარტია. ის, ვინც პირველი მოაგროვებს 6,5 ქულას, გამარჯვებულად გამოცხადდება და 1975 წლის გაზაფხულზე ნ. გაფრინდაშვილს შეხვდება მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის მატჩში.

ფინალური მატჩის ჩატარება მიმდინარე წლის სექტემბერშია გახზრახული, მაგრამ შეიძლება ნოემბრისთვის გადაიტანონ. საქმე ისაა, რომ სექტემბერში კოლუმბიაში უნდა გაიმართოს ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადა — მსოფლიოს გუნდური პირველობა. საბჭოთა გუნდში ნ. გაფრინდაშვილთან ერთად იქნებიან ნ. ალექსანდრია და ი. ლევიტინა. თუ კოლუმბიამ ოლიმპიადას მასპინძლობა აღუთქვა, მაშინ ფინალური მატჩი ნოემბერში მოეწყობა, თუ არა — სექტემბერში.

24 წლის ნ. ალექსანდრია გამოცდილი მებრძოლია. ერთხელ, 1971 წელს, მან უკვე ითამაშა პრეტენდენტთა ფინალურ მატჩში. ახლა ნანა საუკეთესო ფორმაშია, რასაც მოწმობს მისი შეხვედრა მ. შულთან პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში.

ლევიტინა იერიშის ტრფიალია. მას დაცვა ღლის, არ სიამოვნებს მეტოქის მუქარის მოგერიება. ლენინგრადელი მოჭადრაკე ხშირად ჩქარობს, გულისწადილს ჰყვება. იგი საუცხოოდაა მომზადებული. ლევიტინას მწვრთნელია დიდოსტატი ს. ფურმანი, რომელიც ვაჟთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილეს დიდოსტატ ა. კარპოვსაც აწვრთნის.

მოლოდ ალექსანდრია და ლევიტინა ერთმანეთს თებერვალში, კისლოვოდსკში, პრეტენდენტთა დამატებით მატჩ-ტურნირში შეხვდნენ. ქართველმა ოსტატმა ერთი პარტია მოიგო და სამი ყაიმით დაამთავრა. სხვათა შორის, ამ შეჯიბრებაში ლევიტინამ შეუპოვარი მებრძოლის ხასიათი გამოავლინა, როცა დასკვნით ტურში შულს გადამწყვეტი პარტია მოუგო და პრეტენდენტთა ნახევარფინალურ მატჩში თამაშის უფლება მოიპოვა.

ალექსანდრია — ლევიტინას ფინალური მატჩი დიდ ინტერესს იწვევს. ბრძოლა უთუოდ დაძაბული და მიმზიდველი იქნება.

თ. ზიორგაძე.

* * *



სურათებზე: ნ. ალექსანდრია (მარცხნივ) და ი. ლევიტინა.

# ექვსეული ბრძოლაში ჩაება

კიევი, 27 ივნისი. გუშინ აქ სტარტი აიღო წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველმა ტურმა. როგორც ცნობილია, საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლას განაგრძობს მხოლოდ 6 გუნდი — მოსკოვის უნივერსიტეტი, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი და „დინამოს“ გუნდები მოსკოვიდან, კიევიდან, თბილისიდან, ლვოვიდან.

შეჯიბრების სტარტზე მარცხი იწვნიეს თბილისის დინამოელებმა, რომლებიც დამარცხდნენ ლვოველ თანაკლუბელებთან — 3:4. მოსკოველმა სტუდენტებმა მოუგეს თანაქალაქელ მეზღვაურებს — 5:4. მოსკოვისა და კიევის გუნდების მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

მეორე დღეს ძალიან დაძაბული გამოდგა მოსკოვის უნივერსიტეტისა და თბილისის „დინამოს“ გუნდების მატჩი. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 6:5. კიევის „დინამომ“ სძლია ლვოველ თანაგუნდელებს — 6:4. მოსკოვის მეზღვაურთა და „დინამოს“ (მოსკოვი) მატჩის შედეგია 5:5.

## ლენინგრადელები დაწინაურდნენ

ვოლგოგრადი, 27 ივნისი. უმაღლესი ლიგის იმ წყალბურთელთა გუნდების ასპარეზობაში, რომლებიც 7-12 ადგილებისთვის იბრძვიან, დაწინაურდა ლენინგრადის „ბალტიკა“, რომელმაც მომდევნო ორ შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმი აიღო. მან მოუგო ჯერ მოსკოვის „ტორპედოს“ (7:6), ხოლო შემდეგ—ხარკოვის „დინამოს“ (4:2). ორივე მატჩი მოიგო კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდმაც: ვოლგოგრადის „სპარტაკთან“ (6:4) და მოსკოვის „ტორპედოსთან“ (5:1).

### გათამაშების ცხრილები

1—6 ადგილებისთვის

მდგომარეობა 29 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნივერსიტეტი | 13 | 12 | 0 | 1 | 68:38 | 24 |
| სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი | 13 | 7 | 4 | 2 | 69:52 | 18 |
| „დინამო“ (კ.) | 13 | 8 | 2 | 3 | 56:45 | 18 |
| „დინამო“ (ლვოვი) | 13 | 6 | 3 | 4 | 48:51 | 15 |
| „დინამო“ (მ.) | 13 | 3 | 8 | 2 | 52:48 | 14 |
| „დინამო“ (თბ.) | 13 | 4 | 2 | 7 | 62:66 | 10 |

7—12 ადგილებისთვის

მდგომარეობა 28 ივნისისთვის

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბალტიკა“ (ლენინგრადი) | 15 | 5 | 6 | 4 | 66:76 | 16 |
| „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) | 15 | 2 | 9 | 4 | 58:66 | 13 |
| კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილია (ბ.) | 15 | 4 | 4 | 7 | 67:63 | 12 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 15 | 4 | 2 | 9 | 46:62 | 10 |
| „დინამო“ (ალმა-ათა) | 15 | 2 | 5 | 8 | 63:71 | 9 |
| „დინამო“ (ხარკოვი) | 15 | 2 | 6 | 6 | 48:66 | 8 |

# კვლავ „მშრალი“ ანგარიშით

ნიცაში, XXI საჭადრაკო ოლიმპიადის მთავარ ფინალში გადადებული პარტიების გათამაშების შემდეგ XI ტურის მატჩები ასე დამთავრდა: გფრ — ჩეხოსლოვაკია 2:2, არგენტინა—იუგოსლავია 0,5:3,5, შვეცია — ფილიპინები 3:1. აშშ — ესპანეთის მატჩში, რომლის ანგარიშია 2:1 ამერიკელთა სასარგებლოდ, ერთი პარტია კვლავ გადაიდო.

XII ტურში სსრ კავშირისა და ბულგარეთის გუნდების შეხვედრა ყაიმით დამთავრდა — 2:2. კარპოვი დაუზავდა რადულოვს, კორჩნოი — პადევსკის, სპასკი — ტრინგოვს და კუზმინი — კიროვს.

დანარჩენი მატჩების ანგარიში ასეთია: უნგრეთი — ფინეთი 2,5:0,5 (1), ესპანეთი — რუმინეთი 1,5:1,5 (1), ფილიპინები — აშშ 1,5:1,5 (1), იუგოსლავია — შვეცია 3:1, უელსი — არგენტინა 2,5:1,5, ჩეხოსლოვაკია — ჰოლანდია 1,5:1,5 (1), ინგლისი — გფრ 1:2 (1).

XIII ტურში სსრ კავშირის გუნდმა ესპანეთის ნაკრებს სძლია „მშრალი“ ანგარიშით — 4:0.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: გფრ — უნგრეთი 1,5:1,5 (1), ჰოლანდია — ინგლისი 2,5:1,5, ფინეთი — ბულგარეთი 1,5:1,5 (1), არგენტინა—ჩეხოსლოვაკია 1:1 (2), რუმინეთი — ფილიპინები 2:1 (1), შვეცია — უელსი 1,5:1,5 (1), აშშ — იუგოსლავია 1,5:1,5 (1).

ორი დასკვნითი ტურის წინ ლიდერობენ სსრ კავშირი — 40 ქულა, იუგოსლავია 34 (1) და ჰოლანდია — 31,5.

# მწვავე დისკუსიაში

26 ივნისს ფიდე-ს გენერალური ასამბლეის სხდომა მძაფრი დისკუსიით დაიწყო. კონგრესმენებს უნდა დაემტკიცებინათ ფიდე-ს ცენტრალური კომიტეტის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ვაჟთა შორის მსოფლიო პირველობის რეგლამენტის შესახებ. მწვავე სჯა-ბაასმა რამდენიმე საათს გასტანა. პროექტში შეიტანეს შესწორებები.

მატჩში მსოფლიო პირველობაზე ბრძოლა გაგრძელდება ათ მოგებულ პარტიამდე, ოღონდ 36 პარტიაზე მეტი არ გათამაშდება. თუ ეს პარტიები ისე ამოიწურება, რომ არც ერთ მეტოქეს ათი მოგება არ ექნება, მაშინ გამარჯვებულად გამოცხადდება ის მოჭადრაკე, რომლის სასარგებლოდაც იქნება მატჩის ანგარიში. მატჩის ყაიმით დამთავრების შემთხვევაში რ. ფიშერი მსოფლიო ჩემპიონად დარჩება. მატჩი მოეწყობა „ნეიტრალურ სარბიელზე“ (ესე იგი არც ამერიკის შეერთებულ შტატებში, არც სსრ კავშირში) 1975 წლის 1 ივნისიდან.

ახალ რეგლამენტს მხარი დაუჭირა 26 დელეგატმა, „ათ მოგებულ პარტიამდე“ სისტემას — 24 დელეგატმა, მათ შორის ევროპის ყველა ქვეყნის ჭადრაკის ფედერაციებმა. 12 დელეგატმა თავი შეიკავა.

აშშ-ს ჭადრაკის ფედერაციამ მოითხოვა, რომ მატჩში არ იყოს შეზღუდული გასათამაშებელი პარტიების რაოდენობა, ასამბლეამ უარყო ეს მოთხოვნა, ვინაიდან ასე შეიძლება მატჩი გაგრძელდეს, რაც ფიშერს ახალი „სიურპრიზების“ შესაძლებლობას მისცემს. სხვათა შორის, ფიშერმა საჭიროდ არ ჩათვალა ფიდე-ს კონგრესზე დასწრება, თუმცა, როგორც მსოფლიო ჩემპიონი, ვალდებული იყო.

ფიშერმა 803-სიტყვიანი დეპეშა გამოუგზავნა ფიდე-ს. იგი ცდილობს უხელმძღვანელოს ფიდე-ს გენერალური ასამბლეის წევრებს და ექომაგება როდეზიისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტებს, რომლებსაც ფიდე-ს ცენტრალურმა კომიტეტმა კარისკენ მიუთითა. ფიშერის ვექილობამ ვერ ჰპოვა მხარდაჭერა. ფიდე-მ დაამტკიცა ამ ქვეყნების მოჭადრაკეთა გარიცხვა საერთაშორისო ფედერაციის ყველა ტურნირიდან (იქამდე, ვიდრე ისინი არ დაამტკიცებენ, რომ როდეზიაში და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ძირითადი მოსახლეობის მოჭადრაკეთა მიმართ დისკრიმინაცია არ არსებობს).

# დარჩა ორი ტური

ფინიშის მოახლოებასთან ერთად სულ უფრო დაძაბული ხდება ბრძოლები კიევში ხელბურთელ ვაჟთა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მატჩებში. მხოლოდ ჩემპიონებს — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელებს აქვთ თავი ქუდში: ოქროს მედლები მათ პირველობის დამთავრებამდე კარგა ხნით ადრე მოიპოვეს. დანარჩენი საპრიზო ადგილებისთვის იბრძვიან მოსკოვის ცსკა და „კუნცევო“, აგრეთვე, ზაპოროჟიეს მეტალურგიული ინსტიტუტის გუნდი.

არანაკლებ დაძაბულია ბრძოლა ცხრილის ბოლოში მყოფ გუნდებს — თბილისის „ბურევესტნიკსა“ და ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბს შორის. თუ ვინ დატოვებს უმაღლეს ლიგას, შესაძლოა, მხოლოდ ბოლო ტურში გადაწყდეს.

თბილისელმა ხელბურთელებმა მეოთხე დღეს დაამარცხეს კიევის არმიელები — 22:21 (11:12), მეხუთე დღეს კი დაპანანი მარცხი იწვნიეს ზაპოროჟიეს „ალუმინსტროისთან“ — 23:27 (12:17). ასეთივე მაჩვენებლები ჰქონდათ ტაშკენტელებს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მათ ჯერ წააგეს მეტალურგიულ ინსტიტუტთან — 21:22 (9.9), ხოლო შემდეგ მოუგეს „კუნცევოს“ — 29:25 (12:11). ახლა თბილისელებსა და ტაშკენტელებს ბოლო ორ ტურში ეყოლებათ ერთი და იგივე მეტოქე — ცსკა. გარდა ამისა, თბილისელებს შეხვდებიან ჩემპიონები — საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელები, ხოლო ტაშკენტელებს — კიევის არმიელები.

გაგაცნობთ დანარჩენ შეხვედრათა შედეგებს: მეოთხე ტური — „ალუმინსტროი“ — საავიაციო ინსტიტუტი — 28:32 (13:20), ცსკა — „კუნცევო“ 22:21 (12:9), საავიაციო ინსტიტუტი — ცსკა — 28:32 (12:19), მეტალურგიული ინსტიტუტი — ასკ — 23:20 (10:6).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 ივნისისთვის

| | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| საავიაციო ინს. | 22 | 0 | 4 | 744:629 | 44 |
| ცსკა | 16 | 2 | 8 | 654:577 | 34 |
| მეტ. ინსტ. | 13 | 5 | 8 | 587:546 | 31 |
| „კუნცევო“ | 14 | 3 | 9 | 615:613 | 31 |
| ასკ | 10 | 6 | 10 | 582:570 | 26 |
| „ალუმინსტროი“ | 8 | 2 | 16 | 569:630 | 18 |
| „ბურევესტნიკი“ | 6 | 0 | 20 | 557:646 | 12 |
| ფიზ. ინსტიტუტის სპორტკლუბი | 5 | 2 | 19 | 550:647 | 12 |

## სამი შეცდომის ფასი

პარიზი, 27 ივნისი. ევროპის ჩემპიონატში მრგვალ სტენდზე მსროლელ ვაჟთა გუნდური ტურნირის დამთავრების შემდეგ უძლიერესებმა პირადი პირველობისთვის განაგრძეს ბრძოლა. მათ კიდევ 50-50 სამიზნე უნდა გაეტეხათ.

გამარჯვების ყველაზე მეტი შანსი ჰქონდათ ფრანგ ე. პეტიპიესა და თბილისელ ტ. ქლენტს, რომლებმაც 150-დან მხოლოდ თითო სამიზნეს ააცდინეს.

მაგრამ ბოლო ორ სერიაში ქლენტს ხელი მოეცარა — მხოლოდ 47 ქულა მოაგროვა, მაშინ, როცა ფრანგი უშეცდომოდ ისროდა. ევროპის ჩემპიონი გახდა პეტიპიე — 199 ქულა, ქლენტს გაუსწრეს პოლონელმა მ. გავლიკოვსკიმ და ფინელმა ნ. ვესტეგარდმა — 197-197, აგრეთვე, ნ. ბენეშმა (ომსკი) და ა. სოკოლოვმა (მოსკოვი), რომლებმაც, ისევე როგორც ქლენტმა, 196 ქულა დააგროვეს. ფრუნზელმა ა. ანდრეევმა X ადგილი დაიკავა — 194, ხოლო ი. ცურანოვმა — XXIII — 192.



## სსრ კავშირის პირველობა

### უმაღლესი ლიგა

26 ივნისს მოსკოვში გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის XI ტურის ბოლო შეხვედრა. თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები „სპარტაკი“ და „ტორპედო“. ამ მატჩმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა. სპარტაკელმა მცველმა ბუკიევსკიმ 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა ვერ გამოიყენა — 0:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 11 | 6 | 4 | 1 | 15—7 | 16 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 11 | 5 | 6 | 0 | 12—6 | 16 |
| „ქაირათი“ (ალმა-ათა) | 11 | 4 | 4 | 3 | 22—18 | 12 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 11 | 3 | 6 | 2 | 12—9 | 12 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 11 | 4 | 4 | 3 | 12—10 | 12 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 11 | 3 | 6 | 2 | 15—15 | 12 |
| „არარატი“ (ერევანი) | 11 | 4 | 3 | 4 | 12—11 | 11 |
| ცსკა | 11 | 3 | 4 | 4 | 17—17 | 10 |
| „პახთაქორი“ (ტაშკენტი) | 11 | 3 | 4 | 4 | 13—14 | 10 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 10 | 3 | 4 | 3 | 7—8 | 10 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 11 | 3 | 4 | 4 | 8—10 | 10 |
| „ნისტრუ“ (კიშინიოვი) | 11 | 3 | 3 | 5 | 13—15 | 9 |
| „კარპატი“ (ლვოვი) | 11 | 2 | 5 | 4 | 9—11 | 9 |
| „დინამო“ (თბილისი) | 10 | 2 | 5 | 3 | 5—12 | 9 |
| „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) | 11 | 2 | 4 | 5 | 13—16 | 8 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 11 | 2 | 4 | 5 | 3—9 | 8 |

### გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 29 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 11 | 6 | 3 | 2 | 23—12 | 15 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 11 | 6 | 3 | 2 | 20—11 | 15 |
| „დინამო“ (კიევი) | 11 | 5 | 5 | 1 | 11—8 | 15 |
| „ქაირათი“ (ალმა-ათა) | 11 | 5 | 4 | 2 | 12—11 | 14 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 11 | 5 | 2 | 4 | 15—9 | 12 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 11 | 2 | 8 | 1 | 8—7 | 12 |
| ცსკა | 11 | 3 | 5 | 3 | 20—14 | 11 |
| „არარატი“ (ერევანი) | 11 | 3 | 5 | 3 | 14—12 | 11 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 11 | 4 | 3 | 4 | 19—18 | 11 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 11 | 5 | 1 | 5 | 12—13 | 11 |
| „პახთაქორი“ (ტაშკენტი) | 11 | 3 | 5 | 3 | 16—16 | 11 |
| „დინამო“ (თბილისი) | 11 | 3 | 4 | 4 | 10—14 | 10 |
| „ნისტრუ“ (კიშინიოვი) | 11 | 3 | 3 | 5 | 18—22 | 9 |
| „კარპატი“ (ლვოვი) | 11 | 3 | 1 | 7 | 10—17 | 7 |
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 11 | 1 | 5 | 5 | 8—15 | 7 |
| „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) | 11 | 1 | 3 | 6 | 8—21 | 5 |

## საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

### პირველი ჯგუფი

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 3:0. მსაჯი ჯ. ჯიშიაშვილი (ტყიბული).

შეხვედრა „ქართლის“ უპირატესობით მიმდინარეობდა. 44-ე წუთზე პირველი ბურთი სტუმრების კარში გაიტანა ნოზაძემ. 54-ე წუთზე ფსუტურმა 11-მეტრიანი დარტყმით ანგარიში ორამდე გაზარდა. მესამე გოლი გაიტანა გელდიაშვილმა.

● „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „კახეთი“ (თელავი) 1:1. მსაჯი ჟ. ძნელაძე (თბილისი).

შუა ტაიმში „კახეთის“ მეკარის უხეში შეცდომა კარგად გამოიყენა ლოგუამ და ბურთი ბადეში შეაგდო 45-ე წუთზე. ცირეკიძემ პენალტით ანგარიში გაათანაბრა.

გვერდითს მსაჯთან შეკამათებისთვის გაფრთხილება მიიღო თელაველმა თ. მაისურაძემ.

● ასკ (თბილისი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:2. მსაჯი გ. გვანცელაძე (თბილისი).

შეხვედრა მეტად პრინციპული და დაძაბული იყო. „მეტალურგმა“ თანდათან მოიპოვა ტერიტორიული უპირატესობა და გაგუამ მე-17 წუთზე გოლი გაიტანა არმიელთა კარში.

48-ე წუთზე იმავე გაგუამ ანგარიში ორამდე გაზარდა.

წაკინკლავებისთვის გაფრთხილებული არიან არმიელი ტ. ილურიძე და რუსთაველი გ. სიმონიშვილი. ამ უკანასკნელმა შემდეგ მოწინააღმდეგეს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, რისთვისაც მინდვრიდან გააძევეს.

● „სულორი“ (ვანი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 3:2. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

მასპინძლებმა შეხვედრა ენერგიული შეტევით დაიწყეს და მე-12 წუთისთვის სამი გოლით დაწინაურდნენ (ორი ბურთი გაიტანა სულაბერიძემ, ერთი — მცველმა ნუცუბიძემ). ტაიმის ბოლოს სპარტაკელმა კოზაევმა ერთი გოლი გაქვითა, ხოლო მეორე ტაიმში გაზაევმა სხვაობა კიდევ ერთი ბურთით შეამცირა.

გვერდითი მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გაძევებულია ცხინვალელი ვ. კოზაევი.

● „მაღაროელი“ (ჭიათურა) — „განთიადი“ (თბილისი) 2:0. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).

„მაღაროელმა“ მეორე ტაიმში ხელთ იგდო თამაშის სადავეები და გაიმარჯვა შელიას და სევასტოპულოს მიერ გატანილი გოლების წყალობით.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური) 3:0. მსაჯი ჯ. მგელაძე (თბილისი).

თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო. სტუდენტებმა ტაიმში სამი „მშრალი“ ბურთი გაიტანეს (გიგოლაშვილი, სართანია, გუგუბერიძე).

● „ვარძია“ (ასპინძა) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

მეორე ტაიმში ანგარიში „ვარძიამ“ გახსნა (ფართლაძე). თამაშის ბოლო წუთებზე გეგეჭკორელმა ჩხეტიამ იხსნა „სალხინო“ დამარცხებისგან.

● „დინამო“ (სოხუმი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:3. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

● „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:2. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).

გოლები გაიტანეს რკინიგზელმა მახარაძემ და ტყიბულელმა ლოლომაძემ. მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია ტყიბულელი ვ. ლოლომაძე.

● „კოლხეთი“ (ხობი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:1. მსაჯი ა. დურსუნიში (სოხუმი).

ჭიათურელმა კაციტაძემ მე-11 წუთზე თერთმეტმეტრიანი დარტყმით გახსნა ანგარიში. 38-ე წუთზე კი გვასალიამ შორიდან საპასუხო გოლი გაიტანა.

● „შუქურა“ (ქობულეთი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 6:0. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

„მეტალურგმა“ ძალიან სუსტად ითამაშა, რაც „შუქურამ“ კარგად გამოიყენა და ექვსი „მშრალი“ ბურთი გაიტანა (გორგილაძე — 3, კვიტაიშვილი — 2, კრესტიანინოვი).

ჩემპიონატის სნაიპერთა სიას 11-11 გოლით ლიდერობენ რ. ცირეკიძე („კახეთი“) და დ. დარჯანია (ასკ).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 15 | 10 | 4 | 1 | 25—10 | 24 |
| „სალხინო“ | 15 | 6 | 9 | 0 | 23—11 | 21 |
| „ლოკომოტივი“ | 15 | 8 | 5 | 2 | 28—17 | 21 |
| „მაღაროელი“ | 15 | 8 | 4 | 3 | 23—8 | 20 |
| ასკ (თბილისი) | 13 | 7 | 4 | 2 | 28—9 | 18 |
| „დინამო“ | 15 | 6 | 6 | 3 | 25—14 | 18 |
| ფიზკ. ინს. | 15 | 6 | 6 | 3 | 24—17 | 18 |
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 14 | 7 | 4 | 3 | 22—16 | 18 |
| „კახეთი“ | 15 | 7 | 4 | 4 | 28—22 | 18 |
| „ამირანი“ | 15 | 6 | 4 | 5 | 17—15 | 16 |
| „შუქურა“ | 15 | 5 | 5 | 5 | 17—14 | 15 |
| „კოლხეთი“ | 15 | 4 | 7 | 4 | 19—18 | 15 |
| „ეგრისი“ | 15 | 4 | 5 | 6 | 12—17 | 13 |
| „ქართლი“ | 15 | 5 | 2 | 8 | 25—28 | 12 |
| „მეშახტე“ | 14 | 4 | 3 | 7 | 18—27 | 11 |
| „განთიადი“ | 15 | 2 | 6 | 7 | 17—21 | 10 |
| „ვარძია“ | 15 | 3 | 3 | 9 | 13—30 | 9 |
| „სულორი“ | 15 | 3 | 2 | 10 | 13—41 | 8 |
| „სპარტაკი“ | 15 | 2 | 3 | 10 | 14—28 | 7 |
| „ივერია“ | 15 | 2 | 0 | 13 | 15—43 | 4 |

### მეორე ჯგუფი

#### I ზონა

„მესხეთი“ (ახალციხე) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:1, „კოლმეურნე“ (ბორჯომი) — „სამცხე“ (აწყური) 2:3, „ყინწვისი“ (ქარელი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 4:1, „განთიადი“ (კასპი) — „ქერეთი“ (ლაგოდეხი) 2:1.

#### II ზონა

„ჩიხურა“ (საჩხერე) — ხდკ (სამტრედია) 1:7, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „განთიადი“ (აბაშა) 4:1, „კოლმეურნე“ (გულრიფში) — „გიგანტი“ (ლაითური) 3:2, „მზიური“ (გალი) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 2:3.

# მინიმალური ანგარიშით

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 26 ივნისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0 (1:0).

„ტორპედო“: გაბელია, კოსტავა, ჰოხონელიძე, ბერულავა (აბზიანიძე), ქვირია, ოქროპირაშვილი, ჩახუნაშვილი, ფარულავა, ფესტვენიძე, ხერხაძე, შელია (ბურკაძე).

„სპარტაკი“: იანოვსკი, პოდლუენი, ბურნოვი, ჰითაური, კოჩიევი, კადიევი, კერაშვილი (ქორიძე), მოზგუნინი, კაიშაური, ოხუადნოვი, კიტაევი (ტოსტოვი).

მსაჯი ვ. პოდგორნოვი (დუშანბე).

დუბლიორები 2:0.

ტორპედოელებმა შეხვედრა ძალზე უფერულად ჩაატარეს, განსაკუთრებით — მატჩის პირველი ნახევარი. 25 წუთის მანძილზე უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო: ამ ხნის განმავლობაში მასპინძლებს ერთხელაც არ დაურტყამთ მეტოქის კარისკენ. ორჯონიკიძელი ფეხბურთელები უფრო და უფრო აქტიურობდნენ: დასაწყისში მათ ორჯერ მოუნიჯეს გაბელიას საიმედოობა. მე-11 წუთზე კი, როცა გაბელია წამით შეყოვნდა, ოხუადნოვის მიერ დარტყმული ბურთი ბერულავამ ზედ კარის ხაზიდან მოიგერია. ძერე კიტაევის დიაგონალური დარტყმა მცირე მანძილით ასცდა მიზანს.

ტორპედოელები ასე თუ ისე მხოლოდ ტაიმის მიწურულს გამოცოცხლდნენ — 25-ე წუთზე ფარულავას ღრმა რეიდის შემდეგ შეეძლო კარის აღება, მაგრამ მცველებმა იმარჯვეს. ოთხიოდე წუთის შემდეგ შეტევაში ჩაება ჰოხონელიძე, სწრაფად გაიჭრა მარცხენა ფრთაზე და საჯარიმო მოედანზე მაღალი ბურთი ჩააწოდა. აქ ყველას დაასწრო ფესტვენიძემ და ძნელი მდგომარეობიდან ანგარიში გახსნა. მალე ჩახუნაშვილის თავური დარტყმა „სპარტაკის“ მცველმა კუთხურზე ძლივს მოიგერია.

შესვენებამდე 5 წუთით ადრე გაბელიამ კვლავ ისახელა თავი — კიტაევის ძლიერ დარტყმას დროულად აუღო ალღო.

მეორე ტაიმი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. დასაწყისშივე მიზანს ასცდა ფარულავას და ქვირიას მიერ დარტყმული ბურთები, მერე მეკარემ განმუხტა ხერხაძე—შელიას და ხერხაძე — ფესტვენიძის სახიფათო კომბინაციები.

71-ე წუთზე ანგარიში გათანაბრდებოდა, კოსტავას რომ არ გამოეჩინა თავი: კიტაევი მეკარის პირისპირ დარჩა და დაარტყა. გაბელიას ბურთი ასცდა. ამ დროს კოსტავამაც თავგანწირვით ითამაშა და ბურთი კუთხურზე მოიგერია. დარჩენილ დროში გაბელიას დიდი ჯაფა დაადგა, მოიგერია ჯერ კაიშაურის მიერ მძლავრად დარტყმული ბურთი, მერე კი — ოხუადნოვის იერიში.

„ტორპედოს“ თავდამსხმელებსაც ასეთი თავგამოდებით რომ ეთამაშათ, ანგარიში უფრო სოლიდური იქნებოდა და დაცვას და მეკარეს დიდი ჯაფა აღარ დაადგებოდათ.

შ. ნიჟარაძე,
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

• • •



სურათზე: შეტევა სტუმრების კართან. ბურთს იგერიებს იანოვსკი.

ლ. ფაჩუაშვილის ფოტო.

## I ლიგა

### სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „პამირი“ (დუშანბე) — „კუბანი“ (კრასნოდარი) 4:0, „სტროიტელი“ (აშხაბადი) — ასკ (დონის როსტოვი) 1:0, „ნეფთჩი“ (ბაქო) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 3:0, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:3, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 0:0, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „დინამო“ (მინსკი) 0:0, „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:2, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ზვეზდა“ (პერმი) 2:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ნეფთჩი“ (ბაქო) | 15 | 9 | 3 | 3 | 21—9 | 21 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 14 | 8 | 2 | 4 | 22—10 | 18 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 15 | 7 | 4 | 4 | 17—11 | 18 |
| „კუზბასი“ (კემეროვო) | 14 | 8 | 2 | 4 | 18—16 | 18 |
| ასკ (დონის როსტოვი) | 14 | 7 | 3 | 4 | 20—12 | 17 |
| „დინამო“ (მინსკი) | 14 | 6 | 4 | 4 | 20—16 | 16 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 14 | 6 | 4 | 4 | 17—14 | 16 |
| „ზვეზდა“ (პერმი) | 15 | 6 | 4 | 5 | 18—19 | 16 |
| „ტავრია“ (სიმფეროპოლი) | 14 | 6 | 3 | 5 | 24—20 | 15 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 15 | 5 | 5 | 5 | 17—13 | 15 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 15 | 6 | 3 | 6 | 15—19 | 15 |
| „სპარტაკი“ (ნალჩიკი) | 14 | 4 | 6 | 4 | 10—10 | 14 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 14 | 6 | 2 | 6 | 12—16 | 14 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 14 | 5 | 3 | 6 | 16—17 | 13 |
| „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) | 14 | 3 | 6 | 5 | 12—12 | 12 |
| „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 14 | 5 | 2 | 7 | 19—23 | 12 |
| „სტროიტელი“ (აშხაბადი) | 15 | 3 | 5 | 7 | 14—21 | 11 |
| „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 14 | 3 | 3 | 8 | 12—22 | 9 |
| „კუბანი“ (კრასნოდარი) | 14 | 2 | 5 | 7 | 16—28 | 9 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 14 | 1 | 5 | 8 | 11—23 | 7 |

## II ლიგა
### III ზონა

## ქულები გაიყვეს

საკავშირო პირველობის II ლიგის III ზონის გუნდების შეჯიბრების ბოლო ტურის ერთ-ერთი საინტერესო შეხვედრა მოეწყო კიროვაკანში, სადაც ადგილობრივი „ლორის“ წინააღმდეგ თამაშობდა მახარაძის „მერცხალი“. მეტოქეებმა თითო გოლი გაიტანეს და ქულები თანაბრად გაიყვეს.

13/VI – 7/VII WM-74

## გფრ — იუგოსლავია 2:0

ამ დღეს ფეხბურთის სამყაროს მთელი გულისყური დიუსელდორფისკენ იყო მიპყრობილი. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ევროპის ჩემპიონი ბოლოს და ბოლოს მოიკრებდა ძალას და მთავარი ფავორიტის საკადრისად ითამაშებდა.

გფრ-ის ნაკრების მწვრთნელს ჰელმუტ შიონს წინადღით მიუტანეს ელექტროგამომთვლელი მანქანის „ნამოღვაწარი“. მანქანამ, სხვადასხვა ობიექტურ მონაცემზე დაყრდნობით დაასახელა გუნდის „იდეალური“ შემადგენლობა. შიონმა მადლობის სიტყვებით მიიღო ეს დახმარება და იუგოსლაველთა წინააღმდეგ სათამაშოდ სულ სხვა გუნდი გამოიყვანა, თანაც ოთხი მოთამაშე შეცვალა ძირითადი შემადგენლობიდან.

ეს იყო ევროპის ჩემპიონის საუკეთესო მატჩი ამ ტურნირში. შეტევებში მონაწილეობდნენ არა მარტო თავდამსხმელები და ნახევარმცველები, არამედ მცველებიც. სწორედ ერთ-ერთმა მათგანმა, სახელდობრ დაუღალავმა ბრაიტნერმა გახსნა ანგარიში შეხვედრის 38-ე წუთზე.

მეორე ტაიმში ახალი ძალით ამოქმედდა გფრ-ის ნაკრების შეტევის მექანიზმი, რომელმაც პატარა შანსიც კი არ დაუტოვა იუგოსლაველებს. შეუძლებელი აღმოჩნდა დაუღალავი ოვერატის უვნებელყოფა. შეუძლებელი აღმოჩნდა გერმანელთა ორგანიზებული შეტევების წინააღმდეგ ეფექტური დაცვის გამონახვა.

77-ე წუთზე ბოლოს და ბოლოს თავისი სიტყვა თქვა მიულერმა. რთულ, თითქმის უიმედო პოზიციაში (იგი ამ დროს წაქცეული იყო) გერმანელმა ფორვარდმა ზუსტად დაარტყა ბურთი იუგოსლაველთა კარში.

## ბრაზილია — გდრ 1:0

სტატისტიკოსები ყველაფერს აღნუსხავენ, მათ შორის ჯარიმების რაოდენობასაც. ჯერ ცნობილი არ არის, თუ ვინ ლიდერობს „კანცლერის თასისთვის“ ბრძოლას (ეს თასი დაწესებულია სამართლიანი თამაშისთვის), მაგრამ ყველასთვის ცხადია, რომ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს — ბრაზილიის ნაკრებს ყველაზე მცირე შანსი აქვს პრიზის მიღებისა.

ეს მეტად სიმპტომატური ფაქტია. საერთოდ ფეხბურთში, უხეშობს ის, ვისაც უჭირს. ბრაზილიელებს უჭირდათ ჯგუფურ ტურნირში, უჭირთ ახლაც და ამ ნერვიულობაში ხშირად არღვევენ წესს. წინა ჩემპიონატებში ისინი კატეგორიულად მოითხოვდნენ უხეში ფეხბურთელების დასჯას. საინტერესოა, რა აზრისა არიან ამჯერად?

გდრ-ის ფეხბურთელებმა თავიდანვე დათმეს ინიციატივა და მეტოქეს მშვიდი თამაშის საშუალება მისცეს. ამან მსოფლიო ჩემპიონის დაცვას გაუადვილა ამოცანა, თავდამსხმელებს კი შეტევის ფართო ასპარეზი შეუქმნა. და მაინც, მატჩის ბედი ერთმა საჯარიმო დარტყმამ გადაწყვიტა. ბურთი ოსტატურად დაარტყა რიველინომ.

## ჰოლანდია — არგენტინა 4:0

ამ მატჩის ანგარიშს უნდა წავუმძღვაროთ ჰოლანდიელი ფეხბურთელის კრუიფის სიტყვები, რომლებიც მან ჟურნალისტებთან საუბარში წარმოთქვა ჯგუფური ტურნირების დამთავრების შემდეგ: „მართალია, არგენტინელები ჩემპიონატის მეორე ეტაპზე პოლონეთის გუნდის ბრწყინვალე თამაშის წყალობით გავიდნენ, მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს ზერელედ მოვეკიდოთ ამ მატჩს, კაცმა არ იცის, როგორ ითამაშებს ჩვენი მეტოქე: ფეხებზე ინადირებს, თუ ლამაზ, შემტევ ფეხბურთს გვიჩვენებს. შეცდომა იქნება, თუ მივმართავთ ერთი თვის წინანდელ ტაქტიკას (როგორც ცნობილია, მაშინ ამსტერდამში ჰოლანდიელებმა მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 4:1. რედ.). არგენტინელები დღითი დღე აუმჯობესებენ თამაშს“.

ჰოლანდიის ნაკრებმა მაინც გაიმარჯვა, თანაც საკმაოდ დიდი სხვაობით — 4:0. ანგარიში შეიძლებოდა უფრო დიდიც ყოფილიყო, მაგრამ მატჩის მიწურულში ორივე მხარე შეურიგდა ბედს. როგორც მუდამ ბრწყინვალედ გაართვა თავი მთავარ ამოცანას ჰოლანდიელთა შეტევების ბურჯმა კრუიფმა. მან ორი გოლი გაიტანა მეტოქის კარში და ბევრი სახიფათო მომენტიც შექმნა.

ახლა უკვე საბოლოოდ შეიცვალა სპეციალისტთა აზრი ჰოლანდიის ნაკრების სასარგებლოდ. ეჭვი აღარავის ეპარება იმაში, რომ ფიფა-ს თასს გაითამაშებს ევროპის ორი მოწინავე ნაკრები — გფრ-ისა და ჰოლანდიის ეროვნული გუნდები.

## პოლონეთი — შვეცია 1:0

გამოუყენებელ შესაძლებლობათა მატჩი — ასე მონათლეს მიმომხილველებმა ეს შეხვედრა, რომელშიც ოლიმპიური ჩემპიონის — პოლონეთის ნაკრების უპირატესობა აშკარა იყო. ბურთი ხან ძელს ხვდებოდა, ხან ფეხების ტყეს, ხან მეკარის თავგანწირული ნახტომის შემდეგ უკან ბრუნდებოდა მოედანზე და ხან შვედ მცველებს გამოჰქონდათ ცარიელი კარიდან.

ანგარიში ოდნავაც არ გამოხატავს ძალთა შეფარდებას მინდორზე, სადაც პოლონელთა უპირატესობა აშკარა იყო. ოლიმპიურმა ჩემპიონმა გაიმარჯვა მინიმალური სხვაობით (ეს ერთადერთი გოლი ლატომ გაიტანა), მაგრამ იგი სავსებით სამართლიანად რჩება ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად.

### გათამაშების ცხრილები

**I ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 1 | 1 | 0 | 0 | 4—0 | 2 |
| ბრაზილია | 1 | 1 | 0 | 0 | 1—0 | 2 |
| გდრ | 1 | 0 | 0 | 1 | 0—1 | 0 |
| არგენტინა | 1 | 0 | 0 | 1 | 0—4 | 0 |

**II ჯგუფი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| გფრ | 1 | 1 | 0 | 0 | 2—0 | 2 |
| პოლონეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 1—0 | 2 |
| შვეცია | 1 | 0 | 0 | 1 | 0—1 | 0 |
| იუგოსლავია | 1 | 0 | 0 | 1 | 0—2 | 0 |



## მილიარდიანი აუდიტორია

ასპარეზობაზე აკრედიტებულ ჟურნალისტებს შორის არიან ისეთებიც, რომლებიც მსოფლიოს ათივე ჩემპიონატს დასწრებიან. სწორედ მათი აზრით, ფეხბურთელთა არც ერთი წინა ფორუმი არ ყოფილა ესოდენ სადღესასწაულო. ამას ჟურნალისტები იმით ხსნიან, რომ გფრ-ში არ არის არც ერთი მკვეთრად გამოყოფილი ფავორიტი. ფინალური ტურნირის ნებისმიერ მონაწილეს შეუძლია წარმატებით იბრძოლოს ფიფა-ს თასის მოსაპოვებლად.

აქედან გამომდინარეობს საყოველთაო ინტერესი ჩემპიონატისადმი, რომელმაც მთელი სამყარო მოიცვა. ამბობენ, რომ ტურნირის II სტადიის მატჩებს ტელევიზიის საშუალებით თვალს ადევნებს მილიარდამდე ადამიანი. ფინალურ მატჩს კი, ორგანიზატორთა აზრით, კიდევ უფრო დიდი აუდიტორია ეყოლება — მას ნახავს 1 მილიარდ 300 მილიონი ადამიანი, ანუ ჩვენი პლანეტის ყოველი მესამე ბინადარი.

ჯგუფური ტურნირების დამთავრების შემდეგ ჟურნალისტებმა შეადგინეს მსოფლიოს სიმბოლური ნაკრები, რომელშიც ერთადერთი ბრაზილიელი ფეხბურთელი ლუის პერეირა (თამაშობს „პალმეირასში“) შევიდა. გაგაცნობთ ამ სიმბოლურ გუნდს: მეკარე — ჰელსტრიომი (შვეცია, „ჰამერბი“); მცველები — ფოგტსი (გფრ, „ბორუსია“), პერეირა, ბეკენბაუერი (გფრ, „ბაიერნი“), ლარსონი (შვეცია, „მალმიო“); ნახევარმცველები — კასპერჩაკი (პოლონეთი, „სტალი“), დეინა (პოლონეთი, „ლეგია“), მაცოლა (იტალია, „ინტერნაციონალე“); თავდამსხმელები — გადოხა (პოლონეთი, „ლეგია“), კრუიფი (ჰოლანდია, თამაშობს ესპანეთის „ბარსელონაში“), სანდბერგი (შვეცია, თამაშობს გფრ-ის „კაიზერსლაუტერნში“).

როგორც ხედავთ, ნაკრების შემადგენლობაში შეყვანილია 3-3 ფეხბურთელი შვეციიდან და პოლონეთიდან, 2 — გფრ-იდან, თითო — ბრაზილიიდან, იტალიიდან, ჰოლანდიიდან.

## უხეშობის წინააღმდეგ

საუკეთესო ფეხბურთელებისა და გუნდებისთვის სხვადასხვაგვარი პრიზები და თასებია დაწესებული. ერთ-ერთი თასი გფრ-ის კანცლერმაც დააწესა, რომელიც მის სახელს ატარებს. თასი გადაეცემა გუნდს სამართლიანი თამაშისთვის.

ამ ჯილდოს დაწესებას საფუძვლად დაედო უხეშობის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი. თასის დებულება მოკლედ ასეთია: უბრალო გაფრთხილებისთვის გუნდს ერიცხება 1 საჯარიმო ქულა, გაფრთხილება, რომელიც წინ უსწრებს მინდვრიდან გაძევებას, 2 საჯარიმო ქულითაა შეფასებული. თამაშიდან ფეხბურთელის გაძევებისთვის გუნდს ერიცხება 3 ქულა. თუ კაპიტანი გაფრთხილებას მიიღებს (გუნდის უხეშად თამაშისთვის), ეწერება 5 ქულა; ნებართვის გარეშე მინდვრიდან გასვლისთვის დაწესებულია 2 ქულა. ყველაზე მძიმე სასჯელი ედება გუნდს თამაშიდან თვითნებური გასვლისთვის — 22 ქულა.

ამ დებულების შემდგენლებმა, როგორც ჩანს, გაითვალისწინეს X ჩემპიონატის დაძაბულობა და საკმაოდ მკაცრი სასჯელებიც დააწესეს, მაგრამ „კანცლერის თასი“ მაინც ვერ გამოდგა უხეშობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ საშუალებად. სტადიონებზე უხეშობა გრძელდება.




### ჩემპიონატის აფიშა

**სტადიონებზე...**

გთავაზობთ ფინალური ტურნირის კალენდარს:

**30 ივნისი**

გდრ — ჰოლანდია
არგენტინა — ბრაზილია
გფრ — შვეცია
პოლონეთი — იუგოსლავია

**3 ივლისი**

ჰოლანდია — ბრაზილია
არგენტინა — გდრ
შვეცია — იუგოსლავია
პოლონეთი — გფრ

**6 ივლისი**

მატჩი III ადგილისთვის

**7 ივლისი**

ფინალი

**ტელეეკრანებზე...**

**30 ივნისი**

არგენტინა — ბრაზილია
პოლონეთი — იუგოსლავია

**3 ივლისი**

პოლონეთი — გფრ
ჰოლანდია — ბრაზილია

## პირველი გარიგებანი

X ჩემპიონატის ერთ-ერთ მთავარ სენსაციად უკვე აღიარებულია იტალიელთა მარცხი. მიმომხილველთა აზრით, თუ ბრაზილიელებმა ასე თუ ისე შეძლეს თავიანთი პრესტიჟის გადარჩენა, იტალიელმა „ვარსკვლავებმა“ კარგა ხანია ჩაალაგეს ჩანთები და გაურკვეველი მიმართულებით დაადგნენ გზას. იტალიელი ჟურნალისტები ღრმად არიან დარწმუნებული, რომ მწვრთნელ ვალკარეჯის გაანთავისუფლებენ თავისი პოსტიდან, თუ თვითონ არ გადადგა.

რაც შეეხება ურუგვაის ნაკრების მწვრთნელს პორტოს, მან გფრ-შივე დაკარგა ადგილი: ჯგუფური ტურნირის დამთავრების შემდეგ დეპეშით მიიღო ეს ცნობა.

ჯგუფური ტურნირების დამთავრების შემდეგ ფეხბურთელთა ბირჟაზე ახალი ძალით გაჩაღდა ვაჭრობა. უკვე შედგა პირველი გარიგებანი. გაიყიდა ჰაიტის ნაკრების თავდამსხმელი სენონი, რომელმაც ამ ჩემპიონატში 2 გოლი გაიტანა. იგი იყიდა ბელგიის „ანტვერპენმა“. დასავლეთგერმანულმა კლუბმა „ჰერტამ“ ხელშეკრულება დადო ავსტრალიელ ალსტონთან. ესპანეთის „ბარსელონამ“, სადაც კრუიფი თამაშობს, იყიდა მეორე ჰოლანდიელი ფეხბურთელიც — ნეესკენსი. ბრაზილიელები ჟაირზინიო და პ. ცეზარი I ამიერიდან საფრანგეთის „ოლიმპიკში“ ითამაშებენ. ჰაიტის ნაკრებმა კიდევ ერთი ფეხბურთელი „გაასაღა“ — მეკარე ფრანსილიონი. იგი ითამაშებს „მიუნჰენ 1860“-ში.

### ფრანკი უკმაყოფილოა

შეჯიბრების აუტსაიდერთა მატჩების ნახვის შემდეგ უეფა-ს პრეზიდენტმა, იტალიელმა ფრანკიმ თქვა: „სირცხვილია, რომ ისეთი სახელმწიფოები, როგორიც არიან ინგლისი, საბჭოთა კავშირი, ესპანეთი, უნგრეთი მსოფლიო ჩემპიონატში არ მონაწილეობენ. შესარჩევი თამაშების კონტინენტური პრინციპი გადასინჯვას მოითხოვს. შედეგებით 9:0 და 7:0 ჩემპიონატში მატჩი არ შეიძლება მთავრდებოდეს. ასეთი შეხვედრები მსოფლიო ფეხბურთს არაფერს აძლევს“.



ბრაზილიის ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი ბურჯი, ნახევარმცველი რიველინო საჯარიმო დარტყმების ჭეშმარიტი დიდოსტატია. გდრ-ის ფეხბურთელებთან ნახევარფინალურ მატჩში მან ბრწყინვალე გოლი გაიტანა და იხსნა მსოფლიოს სამგზის ჩემპიონის რეპუტაცია.

• • •

სურათზე: რიველინო.

## დიდი მოგება

„სპორტლოტოს“ მე-15 ტირაჟში კიევის ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა ნ. ლიტვინენკომ 47.683 მანეთი მოიგო. მან 11 ბილეთზე გამოიცნო ხუთ-ხუთი, 17-ზე — ოთხ-ოთხი, 24-ზე სამ-სამი სახეობა.

გაგახსენებთ, რომ „სპორტლოტოს“ საკავშირო რეკორდი დამყარებული იყო შარშანდელ მე-18 ტირაჟში, როცა ლენინგრადელმა ინჟინერმა გრიგორიევმა ერთნაირად შეავსო 17 ბილეთი და 58.463 მანეთი მოიგო.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

### თბილისი სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. „ისნის“ სტადიონი. 29 ივნისი. „განთიადი“ (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი). დასაწყისი 18 ს., 30 წ. ასკ-ს სტადიონი. 30 ივნისი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ეგრისი“ (ცხაკაია). 18 ს.

ფრანც ბეკენბაუერი და ჰელმუტ შიონი — ამ ორი ადამიანის სახელთან მჭიდროდაა დაკავშირებული გფრ-ის ეროვნული ნაკრების ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი წარმატება. ბეკენბაუერი ამ ჩემპიონატშიც აოცებს მაყურებელს თავისი უბადლო ტექნიკით, ღრმა ტაქტიკური აზროვნებითა და უნაკლო თამაშით. რაც შეეხება შიონს, იგი ყველა საშუალებას მიმართავს, რათა ფორმალური ფავორიტი ჩემპიონობის ფაქტიურ პრეტენდენტად აქციოს.

სურათზე: ფ. ბეკენბაუერი და ჰ. შიონი.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 04647